

Henri Cantel. „Héraklé, Scènes de la vie Géorgienne“  
*Revue des Deux Mondes*, 2e période, tome 46, 1863

Pour les chrétiens d'Orient, pour ceux de la Géorgie surtout, la Pâque est la fête la plus solennelle de l'année. Le jeûne du carême a été long et sévère, et si la journée pascale est l'anniversaire de la résurrection du Christ, elle semble être aussi une résurrection pour les chrétiens, qui l'appellent la « fête des fêtes, » le « triomphe des triomphes. » Dès la veille, un peu avant l'heure de minuit, les trente clochers de Tiflis s'ébranlent, et de joyeuses volées, troublant le silence nocturne, se répercutent d'une montagne à l'autre, comme si les cloches, mêlant sans discontinuer leurs voix éclatantes, échangeaient entre elles des prières mystérieuses. Je n'oublierai jamais l'impression que me causa cet étrange concert la première fois que je l'entendis. Je voyais gentilshommes et serfs sortir des maisons; la foule courait dans les églises, où les prêtres bénissaient les pains et les viandes qu'on leur apportait. On s'abordait avec de Joyeux sourires, on s'embrassait, et chacun répétait la formule sacramentelle : « Le Christ est ressuscité. » Le lendemain dimanche, jour de Pâque, on tue à Tiflis près de cent mille agneaux en souvenir de l'agneau divin. Les tables sont servies en permanence dans chaque maison, et tout visiteur qui entre est reçu comme un convive. 451

აღმოსავლეთის ქრისტიანებისთვის, განსაკუთრებით ქართველებისთვის, აღდგომა წლის ყველაზე დიდი დღესასწაულია. მარხვა გრძელი და მკაცრი იყო და მიუხედავად იმისა, რომ აღდგომა ქრისტეს აღდგომის წლისთავია, ისე ჩანს, რომ ის ქრისტიანების აღდგომაცაა, რომლებიც მას „დღესასწაულთა დღესასწაულს“ და „ზეიმთა ზეიმს“ უწოდებენ. წინა დღიდან, შუალამის დადგომამდე, ტფილისის ოცდაათი სამრეკლოს ზარები რეკავენ და ღამის სიჩუმის დამარღვეველი მხიარული ხმები ერთი მთიდან მეორეს ისე გადაეცემა, თითქოს ზარების შერწყმული მჭექარე ხმები ერთმანეთს საიდუმლო ლოცვებს უცვლიან. არასოდეს დამავიწყდება ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ უცნაური კონცერტის პირველად მოსმენისას შემექმნა. მე ვხედავდი სახლებიდან გამოსულ ბატონებსა და ყმებს; ხალხი ეკლესიებისკენ მიიქაროდა, სადაც მღვდლები მათ მიტანილ პურსა და ხორცს აკურთხებდნენ. ხალხი მხიარული ღიმილით უახლოვდებოდა ერთმანეთს, კოცნიდა და ყოველი მათგანი იმეორებდა საკრალურ ფორმულას: „ქრისტე აღსდგა“. აღდგომის მეორე დღეს ტფილისში ღვთის კრავის<sup>1</sup> ხსოვნის ნიშნად დაახლოებით 100,000 ბატკანს კლავენ. ყველა ოჯახში სუფრაა გამლილი და ნებისმიერ მიმსვლელს, სტუმარივით იღებენ.

\*\*\*

Le lundi de Pâque, une autre fête singulière, et barbare attire les bons Géorgiens vers la Montagne-Rouge, au nord de Tiflis, qui en est chaque année le théâtre. De grand matin, les paysans arrivent des campagnes environnantes, à dix lieues à la ronde, les uns à cheval, fusil au dos, *kindjal* (poignard) à la ceinture; d'autres sont traînés sur des *arbas* (charrettes) par des buffles. Le peuple apporte là de quoi festiner, du porc salé, des agneaux rôtis, du fromage, des concombres, des outres pleines de vin. Au bas de la montagne s'étend une vaste plaine nue et sans arbres, sur laquelle se dispersent les familles, les groupes, qui dressent des tentes bariolées et disposent çà et là des coussins et des tapis. Les chevaux entravés paissent l'herbe courte et rare; les chameaux et les buffles, couchés sur le ventre, ruminent voluptueusement. (451-452)

<sup>1</sup> „იესოს დანახვაზე იოანე ნათლისმცემელი დამაჯერებლად აცხადებს: „ღვთის კრავი, ქვეყნიერების ცოდვის აღმომფხვრელი!“ (იოანე 1:29).

აღდგომის ორშაბათი, კიდევ ერთი უჩვეულო და ბარბაროსული დღესასწაული, კეთილ ქართველებს ტფილისის ჩრდილოეთით, ამ მოვლენის ყოველწლიური ასპარეზისკენ – წითელი მთისკენ<sup>2</sup>, იზიდავს. მის ირგვლივ 10 ლიეზე [45 კმ] მდებარე გარეუბნებიდან გლეხები იქ დილაადრიან მიდიან, ზოგი ცხენით, მხარზე თოფითა და ქამარზე ხანჯლით, სხვები – ურმებში შებმული კამეჩებით. ხალხს იქ მოსალხენად დამარილებული ღორის ხორცი, შემწვარი ბატკნები, ყველი, კიტრი და ღვინით სავსე ტიკები მიაქვს. მთის ძირში გადაჭიმულ უზარმაზარ შიშველ, უტყეო ვაკეზე ოჯახები, ხალხის ჯგუფები შლიან ჭრელ კარვებს, აქა-იქ აგებენ ხალიჩებს და ალაგებენ ბალიშებს. დაბმული ცხენები მოკლე, მეჩხერ ბალახს წიწვნიან, მუცელზე გაწოლილი აქლემები და კამეჩები სიამოვნებით იცოხნებიან.

\*\*\*

Lorsque tous les préparatifs sont terminés, avant le festin, la fête, c'est-à-dire la bataille, commence. La foule se divise en deux camps, en deux troupes ennemies qui se livrent un sérieux combat à coups de pierres lancées par la main ou la fronde. Autour de l'arène principale ont lieu des duels particuliers où se vident les querelles de l'année : c'est une attaque d'homme à homme à poings fermés. Chaque combattant porte au doigt du milieu de la main droite un gros anneau d'argent, qui a la forme d'un serpent et dont la queue dressée fait parfois de dangereuses blessures : le sang coule inévitablement, et il n'est pas rare de ramasser des morts. Les blessés ne gardent point rancune à leurs vainqueurs; ils iront le lendemain brûler un cierge à l'église, ou se guériront en appliquant sur leurs plaies des images bénites ou des reliques. Le plus souvent, le visage encore tout sanglant, vainqueurs et vaincus se donnent une tendre accolade en se jurant par tous les saints orthodoxes une amitié éternelle.

ყოველგვარი სამზადისის დამთავრების შემდეგ, ქეიფის დაწყებამდე, იწყება ზეიმი ანუ შეჯიბრება. ხალხი ორ ბანაკად, ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად იყოფა და სერიოზული ბრძოლა ხელით ან შურდულით ქვების სროლით იწყება. მთავარი ასპარეზის გარშემო განსაკუთრებული ორთაბრძოლა, წლის განმავლობაში დაგროვილი ანგარიშსწორება, იმართება: ეს არის ხელჩართული ბრძოლა მუშტებით. ყოველ მებრძოლს მარჯვენა ხელის შუა თითზე ვერცხლის დიდი ბეჭედი უკეთია, რომელსაც გველის ფორმა აქვს და რომლის აპრებილი კუდი ზოგჯერ საშიშ ჭრილობებს იწვევს: სისხლის დენას ვერ აჩერებენ და იქიდან არც მკვდრების გატანაა იშვიათი. დაჭრილები გამარჯვებულებზე ნაწყენები არ არიან; მეორე დღეს ეკლესიაში მიდიან სანთლის დასანთებად ან თავიანთი ჭრილობების ნაკურთხ ხატებზე ან რელიკვიებზე შეხებით სამკურნალოდ. უფრო ხშირად კი ჯერ კიდევ გასისხლიანებული სახეებით, გამარჯვებულები და დამარცხებულები თბილად ეხვევიან ერთმანეთს და ყველა მართლმადიდებელი წმინდანის დაფიცებით ერთმანეთის სამუდამო მეგობრობის აღთქმას დებენ.

---

<sup>2</sup> „წითელი მთის“ შესახებ ფრანგი მხატვარი, ფარამონ ბლანშარი, წერს: „ეს არის ზეგანი, რომელიც მდებარეობს მაღალი ბორცვის თავზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. იქ არის თავმოყრილი ბაზრობის ყველა გასართობი, განსაკუთრებით რუსეთში პოპულარული გასართობის, საქანელების (*katcheli*) ყოველგვარი კომბინაცია. სახელწოდება *კრასნაია გორა* (*Krasnaia-Gora* – წითელი მთა) არ ნიშნავს მთის ფერს, „წითელი“ რუსულში სილამაზის იდეის მატარებელია; ჩემი აზრით, ის უნდა ითარგმნოს როგორც ლამაზი მთა“. ამ, კანტელის თქმით, „ბარბაროსული დღესასწაულის“ შესახებ ვრცლად იხ.: იოსებ გრიშაშვილი, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, თხზულებანი 5 ტომად, III, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1985.

ჩვენი ვარაუდით, ეს ადგილი მახათას მთის მიმდებარე ტერიტორია უნდა იყოს.

\*\*\*

Cette bataille sauvage, ces luttes étranges durent environ deux heures, et se terminent au signal du chef de la fête, élu parmi le peuple géorgien. A sa voix, la scène change soudain. La foule se forme par groupes inégaux dans la plaine ardente, les plus riches sous des tentes, les autres sous de larges ombrelles en toile écrue ; hommes et femmes s'accroupissent autour de petites tables basses, et le festin commence. La musique orientale, bruyante, folle, éveille les échos de la Montagne-Rouge. Les femmes, vêtues de leurs plus éclatants costumes, pieds nus ou chaussés de babouches à hauts talons, se dépouillent de leurs *tchadras*<sup>3</sup>, et leurs voiles écartés laissent voir des visages frais comme ces roses qu'aimait le poète Hafiz. Égayée par la variété des costumes étincelants, la plaine ressemble de loin à un vaste champ de blé mouvant tout étoilé de marguerites, de bluets et de coquelicots. Les jeunes filles dansent au son de la *zourna* (fifre) et de la *dahira* (tambourin), et les mélodies populaires du Caucase se croisent dans l'air, pareilles aux fusées d'un feu d'artifice. La danse et les chansons alternent. Les *azarpèches*, les *koulas* (vases à boire), les cornes de buffle circulent à la ronde, et les outres se vident au milieu des cris, des quolibets lancés d'un groupe à l'autre. Les moins bruyants se racontent des légendes du pays, jouent aux cartes ou au loto ; les plus graves, comme des fakirs indiens, fument en silence et agitent machinalement entre leurs doigts des chapelets d'ambre ou d'antracite. Si quelque chanteur en renom assiste à la fête, on se presse autour de lui, et il chante à pleine voix une de ces romances de guerre ou d'amour qui expriment si fidèlement la fière mélancolie propre au caractère géorgien, celle-ci par exemple : (452-453)

ეს ველური ბრძოლა, ეს უცნაური ჭიდილი, დაახლოებით ორ საათს გრძელდება და ქართველი ხალხისგან არჩეული ზეიმის მეთაურის ნიშანზე მთავრდება. მის ხმაზე სურათი ერთბაშად იცვლება. გავარვარებულ დაბლობზე ბრბო არათანაბარ ჯგუფებად იშლება – უფრო მდიდრები კარვებს, სხვები კი ხამი ტილოს ფართო ქოლგებს აფარებენ თავს; კაცები და ქალები პატარა, დაბალ მაგიდებთან ჩაიმუხლავენ და ქეიფიც იწყებენ. წითელი მთის ექოს აღმოსავლური, ხმაურიანი და გიჟური მუსიკა აღვიძებს. თავიანთ ყველაზე უფრო კამკამა სამოსში გამოწყობილი ქალები, ფეხშიშველა ან მალაქუსლიანი ბაბუშებით<sup>3</sup>, ჩადრებს<sup>4</sup> იხსნიან და მათი ლეჩაქებიდან იმ ვარდების დარი, პოეტ ჰაფიზს რომ უყვარდა, ნორჩი სახეების დანახვა შესაძლებელი. ამ სხვადასხვა სამოსის ბრჭყვიალით გახალისებული დაბლობი შორიდან ხორბლის დიდ ყანას ჰგავს, სადაც გვირილების, ღიღილოებისა და ყაყარების ვარსკვლავები ირხევა. ახალგაზრდა გოგონები ზურნისა და დაირის ხმაზე ცეკვავენ, კავკასიის ხალხური მელოდიები კი ჰაერში ისე ირევა, როგორც ფეიერვერკის შაშხანები. ცეკვები და სიმღერები ერთმანეთს ენაცვლება. წრეში ტრიალებს აზარფეშები, კულები<sup>5</sup>, კამეჩის რქები და ტიკებიც ამ ყვირილსა თუ სხვადასხვა ჯგუფის ლათაიებში<sup>6</sup> იცვლება. ნაკლებად ხმაურიანები ერთმანეთს ადგილობრივ ლეგენდებს უყვებიან, ბანქოს ან ლოტოს თამაშობენ; ყველაზე დარბაისლები, ინდოელი ფაკირებივით სიჩუმეში ეწევიან და მექანიკურად მარცვლავენ ქარვის ან ანთრაციტის<sup>7</sup> კრიალოსანს. ზეიმში მონაწილეობას თუ რომელიმე ცნობილი მომღერალიც იღებს, მის გარშემო იკრიბებიან და ის ხმამაღლა მღერის

<sup>3</sup> ბაბუშები – ტარსიკონის უქუსლო ფეხსამოსი წაწვეტებული ცხვირით, გავრცელებულია თურქეთსა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში.

<sup>4</sup> ანრი კანტელის შენიშვნა: „ბამბის, შალის ან აბრეშუმის ქსოვილი, რომელშიც ქართველი ქალები თავიდან ფეხებამდე ეხვევიან“.

<sup>5</sup> ანრი კანტელის შენიშვნა: „კულა – ღვინის დასალევი ჭურჭელი“.

<sup>6</sup> ლათაია – თამამი, თავხედური, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი.

<sup>7</sup> ანთრაციტი – ნამარხი ნახშირებიდან ყველაზე ძველი, უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი, რომელიც ხასიათდება შავი ფერით, ძლიერი ბრწყინვალებითა და მაღალი თბოუნარიანობით.

ერთ-ერთ რომანსს ომის ან სიყვარულის შესახებ, რომლებიც ასე კარგად გამოხატავენ ქართული ხასიათის ამაყ მელანქოლიას. მაგალითად:

\*\*\*

« Toutes les fois que la nuit, sous mon bourka (manteau), je dors sans me réveiller jusqu'à l'étoile matinale,

« Trois visions du paradis descendent vers moi, et je vois dans mon rêve trois merveilleuses beautés.

« Les yeux de la première beauté brillent d'un éclat qui fait pâlir les étoiles de la nuit.

« Quand la deuxième lève ses cils, son regard a la pénétration des yeux du serpent.

« Jamais la nuit, dans les montagnes, n'est aussi sombre que chez la troisième le noir profond de ses yeux.

« Et quand à l'aurore mon sommeil s'envole, sans me lever encore, je regarde dans le vide du firmament.

« Je regarde sans cesse, et je rêve en silence : si j'avais de l'argent, de l'argent, je construirais une maison ;

« Je l'entourerais de hautes murailles, et je m'y enfermerais avec mes visions.

« Du matin au matin, je leur chanterais des chansons ; de l'aurore à l'aurore, mes regards plongeraient dans leurs yeux. » (453)

„ყოველთვის, როცა ჩემს ნაბადში გახვეულს მძინავს, დილის ვარსკვლავის ამოსვლამდე არ ვიღვიძებ,

ჩემკენ სამოთხის სამი ხილვა ეშვება და სიზმარში სამ მშვენიერ მზეთუნახავს ვხედავ.

პირველი მზეთუნახავის თვალები ისე ელვარებენ,

რომ ღამის ვარსკვლავები ფერმკრთალდებიან.

როცა მეორე წამწამებს არხევს, მისი მზერა გველის თვალებივით განგმირავს.

მთაში არასოდეს ყოფილა ისეთი ბნელი ღამე, როგორც მესამეს თვალების ღრმა სიშავა.

და როდესაც ალიონზე სიზმარი ქრება, ვიდრე ავდგები, ცის სიცარიელეს ვუყურებ.

სულ ვუყურებ და ჩუმად ვოცნებობ: ფული, ფული რომ მქონდეს, სახლს ავაშენებდი;

გარს მაღალ კედელს შემოვაგლებდი და იქ ჩემს ხილვებთან ერთად ჩავიკეტებოდი.

დილიდან დილამდე სიმღერებს ვუმღერებდი, ალიონიდან ალიონამდე ჩემი მზერა მათ თვალებში ჩაიძირებოდა“.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)